N433 2015 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

„თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის წესისა და იმ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი რეესტრის დამტკიცების შესახებ, რომელთათვისაც სავალდებულოა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის №139 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2014, 010320050.10.003.017758) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი რეესტრის მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ბ) გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

გ) იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

დ) ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ე) საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ვ) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ზ) სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

თ) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ი) პენიტენციური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი პირველი მოადგილე და მოადგილე;

კ) ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

ლ) ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე;

მ) შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი;

ნ) პროტოკოლის სამსახურის ხელმძღვანელი;

ო) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;

პ) სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის მთავარი სამმართველოსა და სამმართველოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**